ცნობის ფურცელი

№ 2410 კვირა, 15 თებერვალი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2410

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში კანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაკობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.

რედაქციისაგან

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მარტამდე უეჭველად გამოგზავნოს ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

იორდანე ლევანის ძე ცერცვაძე, ძენი მისნი: ივანე, გიორგი და ასული მარიამი უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი უძვირფასესი მეუღლისა, დანარჩენნი დედის

პელაგია ზენაიშვილის ასულის ცერცვაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებაზე ამთვის 15-სა დილით 9 საათზე დაბა ყვირილაში. საკუთარ სახლი. (2—2)

სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს, 16 თებერვალ წარმოდგენილი იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმ. მუს. ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი სტეფანოვიჩ, ტურჩანინოვა, დედინა, ფედოროვა; ბ-ნი დავიდოვი, ილიუშენკო, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 17 თებერ. „ევგენი ონეგინი“ ქ-ნ ტურჩანინოვას, ბ-ნთ კარჟევინისა და კამიონსკის მონაწილეობით. (0—2)

ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის

ბრენა

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

ძმ. პასხალიდის.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი**. ვიღებთ შემოკვეთილებას მომავალ წლებისთვის, 15 აპრილამდის.

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—41—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ლ. ივ. ძამოევი.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 10 ს.—11-მდე.

. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

\რ. გ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

ვ. გ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ძ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—9 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

. ვ. სოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—5.—50)

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—16)

ქუთაისში

კბილის ექიმი

მ. ი. ბეგიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა სახლი№ 46.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვაჩნაძისა.

კავკასიელ ტიპების

ხატვას ვასწავლი

ფერად წამლებით.

თვეში—20 მ. სეანსი 2 საათ.—4 საათ. 1 მ. მოსწავლეთ 1/2

გონჩაროვის ქუჩა სახლი № 28.

(10—1) **მოსე თოიძე**

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). კორეიაში მყოფი რუსეთის ჯარი ამ ჟამად არ აღემატება 1000 კაცს. რუსები თანდათან უკან იხევდნენ იაპონელების წინაშე, რომელნიც იალუსაკენ მიდიან.

პეკინი („რეიტ. სააგენტო“). ჩინეთის რკინის გზების მთავარ-დირექტორის მიერ მიღებულ ოფიციალურ მოხსენების თანახმად, მანჯურიის რკინის გზას კარგად იცავენ. თვითეულ მილის მანძილზე გამართულია მაღალი სადარაჯო კოშკები. თვითეულ კოშკში 30 ყაზახია.

ნაგასაკი („სტეფ. სააგენტო“). იტალიის კრეისერი „ელბა“ ჩემულპოს ნავთსადგურში წავიდა, რათა რუსის დაჭრილი მეზღვაურნი „ვარიაგ“-სა და „კორეეც“-იდან გონკონგში წაიყვანოს. „ელბა“ დაჭრილებს გადასცემს „ნოვიგაციონე ჯერალო იტალიანოს“ საზოგადოების გემს.

ბერლინი. პრესსა ბევრსა სწერს იაპონელების უკანასკნელ განზრახვის—პორტ-არტურის ნავთსადგურის შეკვრის—შესახებ და ერთხმად აღნიშნავს: ამ შეტაკებამ დაამტკიცა, რომ რუსის გემები ბრძოლისთვის გამოსადეგნი არიანო. აქ დიდ მნიშვნელობას აძლევენ „რეტვიზან“-ის მონაწილეობას. ჰფიქრობდნენ, რომ ეს გემი ბრძოლისთვის გამოსადეგი აღარ არისო.

სეული („რეიტ. სააგენტო“). რუსეთის ცხენოსანმა რაზმებმა დასწყვიტეს ის სატელეგრაფო მავთულები, რომელიც პენიალში იყო გაყვანილი. კორეის მინისტრად ნამყოფი იოკ-იკი იაპონიის სამხედრო გემით იაპონიაში გაჰგზავნეს.

ვაშინგტონი („რეიტ. სააგ.“). მთავრობამ გადასწყვიტა გამართოს ახალი კაბელი იაპონიასა, კუნძულ გუამსა და ფილიპეს კუნძულებს შორის და შემდეგ ეს კაბელი დიდ ოკეანეს კაბელს შეუერთოს. ამ კაბელის გამართვას იმით ასაბუთებენ, რომ ყველა ის, რასაც აზრად სავაჭრო ურთიერთობის გაადვილება აქვს, ნეიტრალიტეტს არ არღვევსო. მიზანი-კი განზრახულ კაბელისა ის არის, რომ იაპონია მოწყვეტილი არ დარჩეს, თუ ვინიცობაა რუსეთმა გადაჭრა ორივე კაბელი, იაპონიისა და შანჰაის შორის გაყვანილი.

ირკუტსკი. ირკუტსკის სამთო კლუბმა მეომართა დასახმარებლად გაჰგზავნა დალნიში პირველი პარტია საცვლებისა, ბინტებისა, თბილ კურტკებისა, საბნებისა და ფეხსახვევებისა. ეს ნივთები გაჭირვებულ ჯარის-კაცთ უნდა დაურიგონ. ამზადებენ ახალ ნივთებს. წრის თავმჯდომარე სამთო უფროსი უვაროვი სთხოვს ყველას, შემოწირულებანი ჰგზავნონ სამთო გამგეობაში.

ბლაგოვეშჩენსკი. წითელის ჯვრის საზავადოება ბრძოლის ველზე ჰგზავნის მოწყალების დას და საცვალს საავადმყოფოს 10 საწოლისათვის. ოლქის სხვა და სხვა უწყების მოხელეებმა გადასწყვიტეს, შესწირონ ექვსის თვის განმავლობაში თავიანთ ჯამაგირის ერთიდან ხუთ პროცენტამდე. ვაჭარმა ლევაშევმა შესწირა 1500 მან., სატელეგრაფო მოხელემ გოვორუშჩენკომ 300 მ., მიწის მზომელმა კონსტანტინოვმა 100 მან. რამდენიმე გიმნაზიელი ჩაეწერა თავისუფალ მეომრად მომქმედ ჯარში.

პსკოვი. გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს სადგურზე მიეგებნენ პსკოვის გუბერნატორი, დივიზიის უფროსი, ვიცე-გუბერნატორი, აქაურ პოლკების უფროსები, თავად-აზნაურობის, ერობის და ქალაქის დეპუტაციები. თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს წმ. ვსევოლოდის და გაბრიელის ხატები მიართვა, ხოლო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ— წმ. ტიმოთესი.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს დელკასემ წაუკითხა ელჩის ნელიდოვის წერილი, რომელშიაც რუსეთის მთავრობისაგან უღრმესი მადლობაა გამოცხადებული იმის გამო, რომ გემმა „პასკალ“-მა დახმარება აღმოუჩინა გემებს „ვარიაგ“-სა და „კორეეც“-ს.

ნანტი. აქაური გაზეთების რედაქტორებმა ომში დაჭრილ რუსთათვის ხელის მოწერა გამართეს.

პორტ-არტური. დაათვალიერეს ის გემები, რომლებით იაპონელებს უნდოდათ ნავთსადგურის შესავალის შეკვრა; გემები ქვანახშირითა და კეროსინით ყოფილა დატვირთული; სჩანს, გემებში ნაღმებიც იყო. ერთ გემზე აღმოჩნდა ელექტრონის ბატარეია და მავთულები. 13 თებერვალს, ნაშუადღევის პირველ საათზე იაპონელთა რამდენიმე ნაღმიანი გემი ანძებ გაშლილნი მიუახლოვდნენ ნავთსადგურს, მაგრამ მალე შეამჩნიეს და „რეტვიზან“-იდან ზარბაზნები დაუშინეს. „რეტვიზან“-ს მიეშველა ციხის არტილერია. სროლა დილამდე გაგრძელდა, ამის შემდეგ ნაღმიანი გემები გაბრუნდნენ. დღეს დილას ზღვაზე გამოჩნდა იაპონიის ესკადრა; 11 1/2 საათზე ესკადრა პორტ-არტურს მოუახლოვდა. არტილერიამ ზარბაზნები დაუშინა; იაპონიის ესკადრამ პასუხი გასცა. სროლა 40 წუთს გაგრძელდა; რამდენიმე ყუმბარა ქალაქში ჩამოცვარდა, მაგრამ ზიანი არაფერი მოუტანია. მოელიან იაპონელების გადმოსვლას ნაპირზე.

14 თებერვალი

პორტ-არტური (საკუთარ კორესპონდენტისაგან). იაპონელების ნაღმიან გემთა თავდასხმამ 12 თებერვალ ღამეს ჩვენთვის საკეთილოდ ჩაიარა. მტერი დაზარალდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენმა ერთმა ბატარეიამ იაპონიის ერთ ნაღმიან გემს ქვაბი აუფეთქა. —12 თებერვალს თავდასხმის დაწვრილებითი ამბავი: დილას იაპონიის ფლოტი, რომელიც 6 ჯავშნიან გემისა და 4 კრეისერისაგან შესდგებოდა, ზღვაზე გამოჩნდა. ჩვენი კრეისერები „ასკოლდ“-ი, „ბაიან“-ი და „ნოვიკ“-ი ამ დროს გარე რეიდზე იდგნენ. იაპონიის ნაღმიანი გემები მიუახლოვდნენ ჩვენს გემებს 30—35 კაბელტზე და იერიში მიიტანეს მათზე. იაპონიის კრეისერები ჯავშნიან გემებს ჩამოშორდნენ და დაუპირდაპირდნენ ჩვენს ორ ნაღმიან გემს, რომელნიც გოლუბინი ნავთ-სადგურიდან მოდიოდნენ. ერთმა ჩვენმა ნაღმიანმა გემმა თავი დააღწია ბრძოლის ალს და ნავთ-სადგურში მიიმალა, მეორე გოლუბინი ნავთსადგურში დაბრუნდა. დილით 10 საათსა და 45 წუთს ხელ-ახლავ ასტყდა გაცხარებული ბრძოლა იაპონიის ჯავშნიან გემებსა და ჩვენ კრეისერებ შორის. 12 საათზე 5 კრეისერმაც, რომელნიც ჩვენს ნაღმიან გემებს მისდევდნენ, მცირეს ხნით ისევ ასტეხა სროლა. ამ შეტაკებამ აღმოაჩინა იაპონელთა ნაკლულევანება მანევრებში: როდესაც მათი ჯავშნიანი გემები ზღვაზე მოტრიალდნენ, ერთ ადგილას შეჯგუფდნენ, რითაც ისარგებლეს ჩვენმა გემებმა; ნათლად სჩანდა, ჩვენი ყუმბარები როგორ სკდებოდა მტრის გემებს შორის. სიმაგრე „ბელი ბოლმორენ“-ის ძირში გარიყა იაპონიის ერთი ნაღმიანი გემი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, 11 თებერვალს იერიშის მიტანის დროს უნდა დაღუპულიყოს.

პორტ-არტური (საკუთ. კორესპონდენტისაგან). დღეს, 13 თებერვალს, დილის 12 საათზე იაპონიის ფლოტი, 17 გემისაგან შემდგარი, კვლავ მოუახლოვდა პორტ არტურს და სიმაგრეებს ზარბაზნები დაუშინა. ჩვენმა ზარბაზნებმაც პასუხი გასცეს. იაპონიის 4 კრეისერი ჩამოშორდა ფლოტს, გოლუბინი ნავთ-სადგურისაკენ წავიდა და იქ დაუშინა ზარბაზნები ჩვენს სიმაგრეებს.

პორტ-არტური. 13 თებერვალი (საკუთარის კორესპონდენტისაგან). „ნოვი კრაი“-ს ტოკიოდან (ჩიფუს გზით) ატყობინებენ, იაპონიის ელჩმა სეულში მოითხოვა, რომ კორეის სამეფო სახლი საფრანგეთის საელჩოდან წავიდესო.

ტიან-ძინი. გაზეთი „ტაიმს“-ი პორტ-არტურზე იერიშის მიტანის გამო იაპონელთა მანიფესტაციების შესახებ სწერს, რომ ყველაზე კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს გაიცინებსო. აქაურ მოკრივეთა მეთაური, სა-

ქურის ჩუ, ტიან-ძინში სიკვდილით დასაჯეს. გენერლები ჩიანი და მა ჩინეთის ნეიტრალიტეტის დაცვის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას აპირებენ. ადგილობრივ მკვიდრთა გაზეთები იტყობინებიან, იუანშიკაიმ და ტელიანმა იმპერატორს საიდუმლო მოხსენება წარუდგინეს, სადაც ნათქვამია, საჭიროა მოგერებისა და თავდასხმის კავშირი შევადგინოთო.—გაზეთი „კურიერ დეტიან-ძინ“-ი იტყობინება, იაპონელებს გული გაუტყდათ იმის გამო, რომ, ვითომ, რკინის გზის ასაფეთქებლად მათ მიერ გაგზავნილ 200 აგენტს ვერაფერი მოუხერხებია. 12 თებერვალს ღამის პირველ საათზე იაპონელთა ნაღმიან ნავებს, რომელთაც ფლოტი ახლდა, პორტ-არტურთან მოსვლა უნდოდათ, მაგრამ ციხის არტილერიამ არ მოუშვა. ამბობენ, ორი ნაღმიანი ნავი, რომელთაც იალქნები ჰქონდათ აშვებული და ამგვარად ახლო მოსვლა უნდოდათ, დაიღუპნენო. დაწვრილებითი ცნობები არ არის.

უქვეშევრდომილესი დეპეშა შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისა 13 თებერვალს მის იმპერატორებით უდიდებულესობას: „12 თებერვალს, დილის 11 საათზედ, იაპონიის ესკადრა, რომელიც 16 სამხედრო გემისაგან შესდგებოდა, დალნის მხრიდან პორტ-არტურს მოუახლოვდა და გარეშე რეიდზე მდგომ კრეისერებს „ასკოლდ“-სა, „ბაიან“-სა, „ნოვიკ“-სა და ციხეს ზარბაზნები დაუშინა. ნახევარ საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენი კრეისერები ნავთ-სადგურში დაბრუნდნენ. მტერი ჯერ ერთ ბატარეიას რამდენსამე წამს ზარბაზნებს ესროდა, შემდეგ უკანვე გაბრუნდა და მოშორებით დადგა. ამ დროს მტრის ესკადრიდან ოთხი კრეისერი გამოვიდა, გოლუბინაია ნავთ-სადგურში შევიდა და იქ მდგომს ჩვენს ნაღმიანს ნავსა და ნაპირებს ძლიერ სროლა დაუწყო. კომენდანტმა იქ ჯარი გაჰგზავნა. ბრძოლამ 20 წამს გასტანა. ჯარი არ გადმოუსხამთ. მტრის კრეისერები წავიდნენ. მტრის მოულოდნელ თავდასხმის წინააღმდეგ შესაფერი ზომები მივიღეთ. ბატარეიაზე ერთი კაცი დაგვიჭრეს. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას“.

ნამესტნიკის დეპეშა 13 თებერვალს მის უდიდებულესობას: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ 11 თებერვალს დილით პორტ-არტურის მახლობლად იმყოფებოდა მტრის 17 საომარი გემი, 12 ნაღმიანი გემი და უბრალო გემები, მაგრამ ეს გემები სასროლ მანძილზე არ მოახლოვებულან. ამ დღეს ზღვაში გავიდნენ კრეისერები „ბაიან“-ი, „ასკოლდ“-ი და „ნოვიკ“-ი. „ნოვიკ“-თან ერთად გოლუბინაია ნავთ-სადგურიდან იქ მყოფი ჩვენი ნაღმიანი გემები პორტ-არტურში დაბრუნდნენ; ამ დროს „ნოვიკ“-ს მტრის ორი კრეისერი გამოედევნა, მაგრამ უკან ჩამორჩა. საღამოს კრეისერები ზღვაში გავიდნენ, მაგრამ ღამე უკანვე დაბრუნდნენ. ღამე რეიდზე ხელმეორედ გამოჩნდნენ მტრის ნაღმიანი გემები, რომელთაც ჯავშნიანმა გემმა „რეტვიზან“-მა და ბატარეიებმა ზარბაზნები დაუშინეს. ბატარეიამ № 18 გვაცნობა, მტრის ერთი ნაღმიანი გემი ჩავძირეთო. დილის 9 საათზე ჰორიზონტზე მტრის 14 გემი მოსჩანდა. 11 თებერვალს ღამის იერიშის დროს მტრის ჩაძირულ ორ გემზე პორტ-არტურისა, პორტ-ადამსისა და ყვითელის ზღვის რუქები ვიპოვნეთ. ერთ გემზე, რომელიც იწვოდა, ელექტრონის ბატარეიები და მავთულები აღმოვაჩინეთ. მავთულები ნავთ-სადგურის მინერით დასწყვიტეს. ცეცხლი ჩავაქრეთ“.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

ლონდონი. გაზეთ „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ, ხმა დადის, ვითომ კორეის მთავრობას იაპონელთა შესახებ პოლიტიკა შეეცვალოს. პოლიტიკის შეცვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საეჭვოდ მიაჩნიათ იაპონელთა გამარჯვება, და რუსეთის მოწინავე რაზმების მოსვლამ.—შანჰაიდან იუწყებიან, იაპონიამ კორეიაში ნამესტნიკობა დააარსა; ნამესტნიკად ტოკუგავა დანიშნაო. კორეის იმპერატორი კორეიდან წასვლას აპირებდა.—გაზეთ „დეილ მეილს“-ს ატყობინებენ, ნიუ-ჩუანგში მოვიდა იუანშიკაის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მუნტერი, რომელიც საგანგებო მინდობილებით ნამესტნიკ ალექსეევთან მიდისო.

პეტერბურგი. გენერალ-მაიორ ფლუგის დეპეშა: „მტრის ესკადრა, რომელიც 16 გემისაგან შესდგებოდა, 12 თებერვალს 11 საათზე დალნიდან პორტ-არტურს მოუახლოვდა და ზარბაზნები დაუშინა კრეისერებს —„ასკოლდ“-სა, „ბაიან“-სა და „ნოვიკ“-ს, რომელნიც გარეთა რეიდზე იდგნენ. ციხიდან ნახევარ საათს ზარბაზნებს ესროდნენ. შემდეგ ჩვენი კრეისერები ნავთსადგურში შემოვიდნენ; მტერი ერთს ბატარეიას რამდენსამე წამს კიდევ ესროდა ზარბაზნებს, რის შემდეგ უკანვე დაიძრა და ციხის მოშორებით დადგა; ამ ესკადრას 4 კრეისერი მოშორდა, წამოვიდა გოლუბინაია ნავთ-სადგურისკენ და იქ მდგომ ჩვენ ნაღმიან გემსა და ნაპირებს ზარბაზნები დაუშინა. კომენდანტმა იქითკენ ჯარი გაჰგზავნა. გოლუბინაია ნავთ-სადგურში სროლამ 20 წუთს გასტანა. ჯარი არ გადმოუსხამთ; მტრის კრეისერები წავიდნენ. ჩვენ ერთი კაცი დაგვიჭრეს ბატარეიაზე“.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან 13 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორს: „11 თებერვალს დილით პორტ-არტურთან გამოჩნდა იაპონელების 17 საომარი გემი და 13 ნაღმიანი ნავი, მაგრამ შორს გაჩერდნენ. ამ დღეს ზღვაში გავიდნენ კრეისერები „ბაიან“-ი, „ასკოლდ“-ი და „ნოვიკი“. „ნოვიკ“-თან ერთად გოლუბინაია ნავთ-სადგურიდან ჩვენი ნაღმიანი გემები პორტ-არტურში დაბრუნდნენ. „ნოვიკ“-ს მტრის ორი კრეისერი გამოედევნა, მაგრამ უკან ჩამორჩა. საღამოს ჩვენი კრეისერები ნავსადგურში შემოვიდნენ. 12 თებერვალს ღამე ჩვენი ნაღმიანი გემები ზღვაში გავიდნენ. რეიდზე ხელმეორედ გამოჩნდნენ იაპონელთა ნაღმიანი გემები, რომლებსაც ჯავშნიან გემმა „რეტვიზან“-მა და ბატარეიებმა ზარბაზნები დაუშინეს.

ბატარეია № 18 გვატყობინებს, მტრის ერთი ნაღმიანი ნავი ჩავძირეო. დილის 9 საათზე ჰორიზონტზე მოსჩანდა მტრის ესკადრა, რომელიც 14 გემისაგან შესდგებოდა. მტრის გემებზე, რომელნიც 11 თებერვალს ღამის იერიშის დროს ჩაიძირნენ, პორტ-არტურისა, პორტ-ადამსისა და ყვითელის ზღვის რუქები ვიპოვეთ. ერთ გემზე, რომელიც იწვოდა, ელექტრონის ბატარეიების მავთულები აღმოვაჩინეთ. მავთულები დასწყვიტეს ნავთსადგურის მინერით. ცეცხლი ჩავაქრეთ“.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 თებერვალი

პეტერბურგი. კავალერგარდის პოლკში შტაბს-როტმისტრად ნამყოფი თავადი არსენ კარაგეორგიევიჩი დანიშნულია ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის ნერჩინსკის 1 პოლკის ესაულად.

სოფია. („კორეს. ბიურო“.) თავადის ინიციატივით და მინისტრ-პრეზიდენტის მეუღლის თავმჯდომარეობით დაარსებულია კომიტეტი დაჭრილ რუს ჯარის-კაცთა დახმარების აღმოსაჩენად.

ჟიტომირი. პოლონელთა საზოგადოებამ აღმოსავლეთ-ციმბირის მე-9 პოლკის მე-3 ბატალიონის გაცილების დროს რკინის გზის სადგურზე შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „ჩვენს თანამოძმეთ შორეულ-აღმოსავლეთში ვაცილებთ და ამასთან რუსეთის ჯარს სრულს გამარჯვებას ვუსურვებთ. გაუმარჯოს სლავიანებს!“. ამ სიტყვას ხალხი ხანგრძლივი „ურა“-ს ძახილითა და საერო ჰიმნის გალობით მიეგება. ჰიმნს მატარებლის წასვლამდე მღეროდნენ.

კილი. კილის საიმპერატორო არხის გამგეობამ არაფერი იცის რუსეთისა და იაპონიის ფლოტისთვის კილის არხის დაკეტვის შესახებ. ამის გამო ზოგიერთ გაზეთების ცნობა, ვითომ არხი დაკეტილიაო, მართალი არ უნდა იყოს.

(სავაჭრო-სატელეგრაფო საგენტოსაგან)

14 თებერვალი

ბერლინი. ცნობა მოვიდა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ბარონ სუმალუ და მარკიზ იტოს სიძე ლონდონს წავიდნენ სესხის საშოვნელად.

პეკინი. ბაოდინფუდან შანჰაი-გუანს მეორედ წაიყვანეს ჩინეთის ქვეითა ჯარი, 1000 კაცისაგან შემდგარი.

პეტერბურგი. ბლაგოვეშჩენსკში გაძლიერებული დაცვის წესი გამოაცხადეს.—ბაიკალის იქითა მხარეს საომარ დროის წესრიგი შემოიღეს.—ხელმწიფე მემკვიდრემ ფლოტის გასაძლიერებლად 100,000 მანეთი შესწირა.

პეტერბურგი. ნამესტნიკის ალექსეევის დეპეშა ხელმწიფე იმპერატორს: „13 თებერვალს გამოგზავნილ დეპეშის დასამატებლად, უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას შემდეგს: 12 თებერვალს მთვარის ჩასვლის შემდეგ „რეტვიზან“-მა რამდენჯერმე უკუაქცია იაპონელთა ნაღმიანი გემები. ჰფიქრობენ, რომ ორი გემი დაიღუპაო. ზღვაში ჩვენი ნაღმიანი გემები შეჰხვდნენ და დაედევნენ მტრის ნაღმიან გემებს; იაპონიის დიდი გემები არ შეჰხვედრიან. 12 თებერვალს დილით ზღვაში გავგზავნე „ბაიანი“, „დიანა“, „ასკოლდი“ და „ნოვიკი“ ჩვენ ნაღმიან გემების დასაფარავად იაპონელ კრეისერებისაგან, რომლებიც ჩვენ ნაღმიან გემებს მოსდევდნენ. ამ ნაღმებიან გემებიდან იაპონელმა გემებმა ერთ გემს გზა მოუჭრეს. ისიც გოლუბინის ნავთ-სადგურში დაიმალა. იაპონელებმა შორიდან ზარბაზნები დაუშინეს ამ გემებს. მოკლული და დაჭრილი არავინ არის. ასე 11 საათზე იაპონიის ფლოტი მოუახლოვდა სიმაგრეებს. ჩვენმა ბატარიებმა და გემებმა ზარბაზნები დაუშინეს; ჩვენი კრეისერები ზარბაზნის სროლით ნავთ-სადგურში დაბრუნდნენ. მტრის ყუმბარები მომეტებულ ნაწილად ვერ უწევდნენ ჩვენს ესკადრას. ჩვენ მარტო ერთი მეზღვაური დაგვიჭრეს. იაპონიის ფლოტმა 17 გემითა და 8 ნაღმიანის ნავით ალყა შემოარტყეს პორტ-არტურს“.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „დეილი მეილ“-ი იუწყება: რუსები ხარბინში გამაგრებას აპირებენ. აქ დიდძალ ჯარს მოუყრიან თავსა და ხარბინს სამოქმედო ბაზად გადააქცევენ. პორტ-არტური დიდხანს გაუძლებს მტერს, იმისი აღება მეტად ძნელია. თუ იაპონელები ხარბინისაკენ გაილაშქრებენ, პორტ-არტურთან მდგარი რუსის ჯარი უკანიდან

ფელეტონი

პატარა ამბები

ნაწყვეტები ორის ძმის დღიურებიდან.

I

...შუაღამეს გადასცილდა. გარედ წვიმს, მთელი დღე არ გადაუღია. ჩვენი სახლი ისეც მიყრუებულს, განაპირა ადგილას დგას, ადამიანის ხმას იშვიათად გაიგონებ, მაგრამ დღეს განსაკუთრებით მიყრუებულია ყველაფერი. სახლში ყველას სძინავს; ფანჯრების და კარების ფარდები ჩამოვუშვი; მინდა, რომ ერთი ნამცეცი ხმა არ შემოიპაროს გარედან ჩემს ოთახში.

სულ განაბული ყურს ვუგდებ ამ სიჩუმეს და რაღაც გამოურკვეველ სიტკბოებას ვგრძნობ. დროგამოშვებით გავიგონებ წყნარ წვიმის შრიალს, იგი მიწყდება, ძლივს მესმის, თითქოს მირბის, მშორდება, მე თან მივსდევ, მინდა არ გამეპაროს; მირბის, მეც თან მივყვები შორს, შორს უსაზღვრო სივრცეში, სადაც არ არის არავითარი გრძნობა, არავითარი ფიქრი, ყველაფერი მავიწყდება და მხოლოდ საკუთარი გულის ცემა და სუნთქვა გამომაფხიზლებს და დამაბრუნებს ჩემს ოთახში, და... საშინელ მოწყენილობას ვგრძნობ...

არ მეძინება და მთელი ღამე ასე თეთრად გავათენო, მგონი. ეს ერთი იმ ღამეთაგანია, როდესაც ანგარიში მინდა მივცე ჩემს თავს. მინდა ვიხილო, ხელი შევახო ჩემს აზრებს. რამდენი გზა გამივლია? რისთვის, სად მივდიოდი? სად მივდივარ?.. მინდა, რომ ჩემი აზრი, ჩემი ფიქრი ჩემთან იყოს. ჩემი, ჩემი!.. ეგეც უნდა ვინატრო?! იმის უფლებაც არ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი აზრები ჩვენთან იყოს? დაბადებიდანვე ისე ვართ აღზრდილნი, რომ საკუთარის ფიქრისაც გვეშინია, ვაი თუ ფიქრი სიტყვად იქცეს, გაგვიგონონ და...—ასეთ მდგომარეობაში კიდევ უკვირთ, თვითშეგნება არა გაქვთო! სადაც ფიქრი დანაშაულობაა, იქ რის შეგნება უნდა იყოს? სიცოცხლე—საქმე, საქმე—სიტყვა, სიტყვა—ფიქრი. სადაც უკანასკნელი მოსპობილია, იქ არ იქნება არც ერთი, არც მეორე, არც მესამე...

სად არის ჩემი აზრი? მინდა ხელი შევახო, დავინახო ჩემის თვალებით. ვაძლევ ჩემს თავს ამ კითხვას და პასუხს კი არსად ვხედავ. „სად არის ჩემი აზრი“? ვინ იცის, რამდენჯერ ვკითხე ჩემს თავს. ხან ჩუმად დავეძებდი მას ჩემს თავში, ჩემს წარსულსა და აწმყოში; ყოველს საგანს, რომელსაც კი ვხედავდი, ვაკვირდებოდი, ვეკითხებოდი, მინდოდა მასში ამომეკითხა ჩემი აზრი. ხან გაცხარებული შემოვიკრავდი თავში ხელებს, მინდოდა ძალით ამომეგლიჯა იქიდან აზრი, ხან მოუსვენრად დავრბოდი აქეთ-იქით, თითქოს ჰაერში მინდოდა დამეჭირა იგი, მაგრამ უნაყოფო იყო ყოველი ჩემი ცდა. დაღალული, დაქანცული, გაბრუებული, სასოწარკვეთილი დავეცემოდი სკამზე და ასე მეგონა, ჩემი თავი უკვე მე აღარ მეკუთვნოდა.

ვჭამდი, ვიძინებდი, დავსეირნობდი, ვმუშაობდი, ვკითხულობდი, დავდიოდი სხვა და სხვა დიდს თუ პატარა კრებებზე, ვაკეთებდი აგრე წოდებულს ჩვენებურს საზოგადო საქმესაც, დავდიოდი თეატრში, ვმუშაობდი სცენისათვის, დავდიოდი ჩვენს მწერლებთან, ვლაპარაკობდი, ვდავობდი მათთან, მაგრამ სად იყო ჩემი აზრი, დედა-აზრი ჩემის ცხოვრებისა, ჩემი სული? ვჭამდი და ჩემ წინ იყო აზრი გემრიელის თუ უგემურის საჭმელის შესახებ, ვკითხულობდი წიგნს და ჩემი აზრები გაფანტული იყო წიგნში, ზოგნი ეთანხმებოდნენ ავტორის აზრებს, ზოგნი—არა; ვუყურებდი ქართულს წარმოდგენას და ჩემი აზრები გატაცებული იყო შორს უკეთესის წარმოდგენისაკენ; ვედავებოდი ვისმე და ჩემი აზრები და ფიქრები იმის გარშემო ტრიალებდნენ, რამდენად სასარგებლო იყო ამ კაცის ისეთი თუ ასეთი საქციელი,—მაგრამ სად იყო ის დედააზრი, ჩემი არსება, ჩემი სული, რომელიც უნდა შეადგენდეს ჩემს „მე“-ს, რომლით გამსჭვალული უნდა იყოს ჩემი ხორციც, რომლის ნიშანი ჩემს სახეზედაც უნდა იყოს აღბეჭდილი!

აღარსად იყო ჩემი „მე“, ჩემი პიროვნება, მე აღარ ვცნობდი ჩემს თავს ინდივიდად! მეც იმგვარივე უფორმო, გამოურკვეველი, განუმტკიცებელი მასსა ვიყავი, როგორც სხვა ათასი და ასი ათასი ჩემისთანა. მე ერთი კი არ ვიყავი, არამედ რამდენიმე დაგლეჯილი, დაფლეთილი!..

ამ ერთს „მე“-ს ვეძებდი ახლაც, მივსდევდი შორს ამ სიჩუმეში, მაგრამ უფსკრულს, წყვდიადს, სამარის მდუმარებას მივასკდებოდი ხოლმე: არავითარი ხმა არსაიდან არ მესმოდა, არავითარს ნაპერწკალს, არავითარის ნათელის ნასახს არ ვხედავდი!

მაგრამ ვცხოვრობთ ასე, ვცხოვრობთ და ვიცხოვრებთ მრავალ საუკუნეს, დაულალავად...

—

თუ უხილავი იყო ჩემთვის ჩემი „მე“, კიდევ უფრო წარმოუდგენელი და გაუგებარი იყო ის განყენებული არსება, რომელსაც ვუწოდებთ საქართველოს, ჩვენს სამშობლოს. გაგვიკვირდება კიდეც, ვინმე რომ გვკითხოს: ვინ ხართ ეროვნებით? ჩვენ რომ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო რომ საქართველოა—ეს ყველას პირზე გვაკერია, ბავშვებიც კი ტიტინობენ ამას, ქუჩის ლოთებიც კი გაიძახიან, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა და ჩვენ ქართველები ვართ!

მერე?.. განა სამშობლო სიტყვაა, თუნდ იგი ათასჯერ გვესმოდეს დღეში? ან სამშობლო ქაღალდზე დახაზული რუქაა თავის მსხვილად, თუ წვრილად აღნიშნულის ქალაქებით და სოფლებით? ან წიგნში დაწერილი ამბები, თუნდა ქებათა-ქებანი, საგმირო—დიდებული საქმენი? ან ის ენა, რომლითაც ჩვენ ვესაუბრებით ერთმანეთს? ან ის მიწა, რომელზედაც დავდივართ და რომლის ნაყოფით ვიკვებებით? ან დროს გასატარებელი გასართობი ოცნებები, სიმღერები?..

სამშობლო ზნეობრივი შემეცნებაა! იგი ყველაზე უწინარეს მოვალეობაა! ამ მხრივ ვეძებდი ჩემთვის სამშობლოს, და ვერ ვპოვებდი. სად უნდა ყოფილიყო ჩემი სამშობლო? ჩემში და მხოლოდ ჩემში. მრავალჯერ ჩამიხედნია ჩემს გულში, მიძებნია მის სიღრმეში მშობელი ქვეყანა, მშობელი ერი

დაეცემა; თუ იაპონელები წინ არ წავლენ, მაშინ ხარბინში თავ-მოყრილი რუსის ჯარი გაზაფხულზე თითონ გაილაშქრებს სამხრეთისაკენ.

ერთ მცოდნე იაპონელ პოლიტიკოსს უთქვამს „სენ-ჯემს გაზეთის“ თანამშრომლისათვის: „ჩვენი ჯარი ხმელეთზე მეტად საიდუმლოდ მოქმედებს; რუსებმა ჩვენი სამხედრო პლანისა ვერა გაიგეს-რა. მდინარე იალუზე ჯერ დიდი შეტაკება არ მოხდება. ჩვენის ჯარის უმთავრესი რაზმები სეულთან დგანან. იქნება ჩვენებმა ლაოდუნის ნახევარ-კუნძულზეც გადაიყვანონ ჯარი, მაგრამ თითო-ოროლა პატარ-პატარა რაზმის გარდა, იქ ბევრ ჯარს არ გადაიყვანენ. ეს პატარა რაზმები დღე და ღამ მოსვენებას არ მისცემენ რუსებს და ყველგან გზებს გაუფუჭებენ, ნამეტნავად მანჯურიის რკინის გზას რელსებს მიაქცევენ დიდს ყურადღებას.

„ნიარდ დაიჩე ალგ. ცაიტუნგ“-ი სწერს: ამ ბოლოს დროს რუსეთის ჯარმა თავისი მთავარი ბინა ხარბინში დასდო. იაპონიის ჯარმაც, როგორც სჩანს, თავისი პირვანდელი პლანი შესცვალა. ეტყობა, იაპონელები ამას იქით ჩემულპოში ჯარს აღარ გადაიყვანენ („მ. ვედ.“).

გერმანელ მცოდნე სამხედრო წრეებს არა სჯერათ, რომ იაპონიამ თავის უმთავრეს ჯარს კორეიაში მოუყაროს თავი. იქ იმ აზრისანი არიან, რომ იაპონელები უფრო ჩრდილოეთით გადაიყვანენ ჯარს და პირდაპირ მუკდენსა და ხარბინზე წავლენო. ამ წრეებს არა აქვთ იმედი, რომ ამ მოკლე ხანში რაიმე დიდი შეტაკება მოხდეს ხმელეთზე („მოსკ. ვედ.“).

ნაგასაკიდან სწერენ „ნოვოე ვრემია“-ს: იაპონია საბრძოლველად 300 ათას ჯარის კაცის ვაგზავნას აპირებს. ამას გარდა თითონ იაპონიის დასაცველად სხვა ჯარი ეყოლებაო.

იაპონიის მთავარი შტაბი. გერმანული გაზ. „პოსტ“-ი იუწყება: ერთი ამერიკელი კორესპონდენტი ამბობს, იაპონიის მთავარშტაბს კარგად ვიცნობ და, ჩემის აზრით, იაპონიის შტაბი საუკეთესო შტაბია მთელს ქვეყნიერობაზეო. ყველა იაპონელს ოფიცერს მშვენიერი რუკები დაურიგეს კორეიისა, მანჯურიისა, აღმოსავლეთ ციმბირისა და ჩრდილოეთ-ციმბირისა. ამ უკანასკნელ წლებში მანჯურიაში 10 ათასი იაპონელი ცხოვრობდა, კორეიაში—30 ათასი. ამათში ბევრი სათადარიგო ჯარის ოფიცერი და ჯარის-კაცები ერია. ეხლა ეს ოფიცრები და ჯარის-კაცები იაპონიის შტაბმა გზის მაჩვენებლად მიუჩინა ჯარის რაზმებს. კორეიასა და მანჯურიაში ყოფნის დროს იაპონელები ჩინელებივით ნაწნავს იკეთებდნენ და ჩინელების სახელით ცხოვრობდნენო.

იაპონიის ფლოტის ვარჯიშობა. იაპონიის ფლოტი, ეს რამდენიმე თვეა თურმე ზღვაში ალლუმებს ახდენდა და ზარბაზნისა და ნაღმების სროლაში ვარჯიშობდა. მეზღვაურები დღე და ღამ მუშაობდნენ, გემების მოხმარებას ეჩვევოდნენ და საბრძოლველად ემზადებოდნენ. („ნ. ვ.“)

რუსეთის ფლოტის უფროსი ადმირალი მაკაროვი. უმაღლესის ბრძანებით რუსეთის ფლოტის უფროსად შორეულ-აღმოსავლეთში კრონშტადტის სამხედრო ნავთ-სადგურის უფროსი ვიცე-ადმირალი ს. ო. მაკაროვი დაინიშნა. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს: „ადმირალმა მაკაროვმა მშვენივრად იცის საზღვაო საქმე. ამისთანა კარგი მცოდნე მთელს ევროპაშიაც ცოტაა. მაკაროვი იმ აზრისაა, რომ საზღვაო ბრძოლის დროს ფლოტი თითონაც უნდა მოქმედებდეს, თითონაც უნდა იერიშით მიდიოდეს მტერზე და არა მარტო მტრის მოგერებას სჯერდებოდეს. ამას გარდა მაკაროვი შესანიშნავი ტეხნიკოსაა. რუსეთის სამხედრო გემები შესანიშნავად გააუმჯობესა, რუსეთის არტილერიას ხომ მეტად დიდი ამაგი დასდო. შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში მაკაროვმა 10 წელიწადი იმსახურა და აღმოსავლეთი აზია მეტად კარგად გაიცნო. ეჭვი არაა, ადმირალი კარგად ღირსეულად დაუხვდება იაპონელ ადმირალებს. ადმირალ მაკაროვს გამოცდილებაც კარგი აქვს, თეორეტიული ცოდნაც, მაგრამ მხნე და გამოცდილ ადმირალს საკმაოდ ძლიერი ფლოტიც უნდა ჰყავდეს, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება რიგზე გამოიჩინოს“.

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. „რუსკია ვედომოსტი“ სწერს: „ამ ჟამად ადმირალ ალექსეევის მოხსენებიდან კარგად გამოირკვა, რომ 15 თებერვლისათვის პორტ-არტურში საბრძოლველად 5 საესკადრო ჯავშნიანი გემი გვეყოლება („პერესვეტი“, „პობედა“, „პეტროზავოდსკი“, „პოლტავა“ და „სევასტოპოლი“), ერთი ჯავშნიანი კრეისერი („ბაიანი“), 3 დიდი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი („ასკოლდი“, „პალადა“, „დიანა“) 2 ჯავშნიანი და 2 პალუბა-ჯავშნიანი კანონერი გემი, ერთი ნაღმების მზიდველი გემი („ამური“) და 16 საესკადრო ნაღმანი გემი, ანუ გემების გამანადგურებელი. „ბოიარინ“-ის დაზიანების ამბავი არ დამტკიცდა, ამიტომ ეს გემიც უნდა მიუმატოთ. „ნოვიკი“ მხოლოდ 25 თებერვალს იქმნება მზადა. „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“ ჯერ-ჯერობით ვერას დაეხმარებიან ჩვენს ფლოტს, რადგან ამ გემების შეკეთება ასე მალე არ შეიძლება; ესენი პორტ-არტურის დოკში ვერც კი გაიმართებიან: ამ დოკს 72 ფუტი სიგანე აქვს, „რეტვიზანს“-კი 72½ ფუტი სიგანე აქვს, „ცესარევიჩს“—76 ფუტი. ეხლა ბევრნაირ რჩევას იძლევიან ამ გემების შესაკეთებლად, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთი გამოცდილი მცოდნე ტეხნიკი, როგორიც ადმირალი მაკაროვია, ამ გემებსაც რასმეს უშველის.

მაგრამ უამორგემოდაც, ჩვენს პორტ-არტურის ესკადრას მაინც დიდი ძალა აქვს და მტერზე იერიშის მიტანა ადვილად შეუძლიან. ამ ესკადრის 9 დიდ გემზე 116 მძიმე ზარბაზანი აწყვია. თუ „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“-ც მიემატებიან, მაშინ ჩვენს ადმირალებს 11 მებრძოლი გემი ეყოლებათ და 148 დიდი ზარბაზანი ექნებათ.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რა ზარალი მოუვიდა იაპონიის ფლოტს. ამიტომ არც ის ვიცით, რა ძალა აქვს ეხლა იაპონელ ადმირალს. თუ იაპონელები თავიანთ დაზიანებულ გემებს მალე შეაკეთებენ, მაშინ იაპონელ ადმირალ ტოგოს წინანდებურად 16 სამხედრო გემი ეყოლება (6 საესკადრო ჯავშნიანი გემი, 6 ჯავშნიანი კრეისერი და 4 დიდი პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი) და 252 დიდი ზარბაზანი ექნება. გინდაც იაპონიის ესკადრა ჩვენს პორტ-არტურის ესკადრაზე გაცილებით ძლიერი იყოს, მაინც ჩვენს ესკადრას ყოველთვის შეუძლიან მტერზე იერიშის მიტანა. საზღვაო ბრძოლაში მოხერხებას, შემთხვევას, ბედს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინ იცის, იქნება ადმირალ მაკაროვმა ღამე ჩუმად გასვლა მოახერხოს პორტ-არტურიდან და სადმე ადმირალ ტოგოს ესკადრის ნაწილს დაეცეს“.

დღევანდელ დეპეშიდან სჩანს, რომ ადმირალ ტოგოს წინანდებულად ისევ 16 გემი ჰყოლია.

ჩინეთში. „მორნინგ პოსტ“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: აქ ჩინეთის ნოტა მიიღეს. ცისქვეშეთის იმპერია აცხადებს ამ ნოტაში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს მტკიცე ნეიტრალიტეტს დავიცავო. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურ პოლიტიკოსთა წრეებზე. ვაშინგტონში მაინც ჰფიქრობენ, რომ ჩინეთი ჯერ-ჯერობით დაიცავს ნეიტრალიტეტს და მერე კი, რამწამს საჭიროდ დაინახავს, ნეიტრალიტეტზე ხელს აიღებს, რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს და მანჯურიის დაბრუნებას ეცდებაო.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ კანტონიდან: აქ ხმა გავრცელდა, ჩინეთის ქვრივი დედოფალი გარდაიცვალაო („ნ. ვ.“).

ინგლისის სამხედრო მზადება. „მატენ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება: ვულიჩიდან ცნობა მივიღე, რომ იქ ეხლა მეტად გაძლიერებული მუშაობააო. ყველა სამხედრო მასალას ჰსინჯავენ, უხეიროსა და უვარგისს სპობენ და იმის ნაცვლად ახალ მასალას და იარაღს აწყობენ. ეს მუშაობა მეტად ფარულად სწარმოებს. 60 სამხედრო გემს ახალ, დიდს ზარბაზნებს დაურიგებენ. 4 წლის წინად 450 ექვს დიუმიანი ზარბაზანი იყო შეკვეთილი; ეს ზარბაზნები თითქმის სულ მზადაა. ინგლისის ყოველ ჯავშნიან გემს ოთხი ამნაირი ახალი ზარბაზანი მიეცემა თითოს („მ. ვ.“).

„ბირჟევი ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „ინგლისის საქციელი ძლიერ აფიქრებს გერმანელ პოლიტიკოსთა წრეებს. ამ წრეებში ლაპარაკობენ, ინგლისის კოლონიების მინისტრად ნამყოფმა ჩემბერლენმა ამ დღებში თავის ჩვეულებრივის გულ-ახდილობით სთქვა: „ინგლისი პირველის შემთხვევითვე ისარგებლებს და ომს დაიწყებსო“. თუ რომელიმე სახელმწიფო წინდაუხედავად მოიქცევა, ან რითიმე ნეიტრალიტეტს დაარღვევს, ინგლისი არაფერს არ დაჰხედავს და მაშინვე ომს ასტეხსო. ასე ჰფიქრობენ გერმანელი პოლიტიკოსები“.

ამერიკა და იაპონია. ნიუ-იორკიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: ერთს კლუბში ნადიმის დროს ამერიკელმა კაპიტანმა დეიტონმა სთქვა: მე-60 წლებში რუსეთმა დიდი მეგობრობა გაუწია ამერიკასაო. დეიტონს ორმა ამერიკელმა უპასუხა. პროფესორმა ბეიდინგერმა სთქვა: ყვითელი საფრთხე არ არსებობს. ეხლა ყვითელი მოდგმა მხოლოდ თავის თავს იცავს რუსეთისაგან. რუსეთის პოლიტიკა დიდად საზარალოა ანგლო-საქსებისათვისაო. ინგლისური გაზ. „ტაიმს“-იც უარ-ჰყოფს ყვითელ საფრთხეს („ნ. ვრ.“).

საფრანგეთი და იაპონია. ტოკიოდან ატყობინებენ „სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტო“-ს: იაპონელები ბევრს ლაპარაკობენ საფრანგეთის ქცევაზე. გაზ. „კოკუმინი“ მწუხარებით სწერს: საფრანგეთის პრესა მეტად ცუდის თვალით უცქერის იაპონიას. იმედი გვაქვს, საფრანგეთის მთავრობა მაინც მტკიცედ დაიცავს ნეიტრალიტეტს“.

რუსეთ-იაპონიის ომზე ჟორესს შემდეგი უთქვამს სენტ-ეტიენში:

„საფრანგეთი რუსეთის მოკავშირეა, ამიტომ ეხლანდელი ომი ყველაზე მეტად საფრანგეთის ინტერესებზე იმოქმედებს. იქნება მალე დადგეს ის დღე, როდესაც საფრანგეთი მოვალე იქნება რუსეთს დახმარება გაუწიოს იაპონიისა და ინგლისის წინააღმდეგ! ამ საგანზე უსათუოდ პალატაში მთავრობას შევეკითხები. რა პირობა გვაქვს დადებული რუსეთთან? საფრანგეთი მოვალეა რუსეთს ყველა საქმეში დაეხმაროს თუ არა? რამდენჯერაც კი ამ საქმეზე ლაპარაკი ჩამოვაგდეთ, ყველანი გვაჩუმებდნენ: წინდახედულად მოიქეცით, ცუდი პატრიოტები ნუ ხართო. მაგრამ თავის დროზე ჩვენ უსათუოდ კიდევ ჩამოვაგდებთ ამ საგანზე ლაპარაკს“. დასასრულ ჟორესს უთქვამს: „თუ საფრანგეთ-რუსეთის საკავშირო ხელ-შეკრულობის ძალით, საფრანგეთი მოვალეა, შორეულ-

---

მაგრამ არ მიგრძვნია არც ერთის და არც მეორეს არსებობის ძალა. თუ ეს ქვეყანა, რომელსაც საქართველოს ვუწოდებ, ჩემი სამშობლოა,—მისი ტანჯვა, მისი წვალება, მისი უბედური ცხოვრება სავსებით გადმოსული უნდა იყოს ჩემში. სამშობლო—ეს სამშობლო ქვეყნის ტანჯვა და სიხარულია: მე კი ვერ შემითვისებია მისი ტანჯვა და სიყვარული, არ ვგრძნობ არც ერთს, არც მეორეს, ჩემს გულში არ ვატარებ მის უბედურებას, მის მწარე დღეებს. როდესაც იგი სტირის, მისი ცრემლები უცხოს ცრემლებია ჩემთვის, მისი ტირილი არ მესმის და თუ მესმის, მინდა მოვშორდე, თვალები ავარიდო მის მტირალს სახეს. იერემიას ჰქონდა სამშობლო, როდესაც გოდებდა: „ვინ მისცეს თავსა ჩემს წყალი და თვალთა ჩემთა წყარო ცრემლთა, და ვტიროდე ერსა ამას ჩემსა დღე და ღამე!“ ჩემთვის კი არ არის იგი, არ არის!..

ერთის ამხანაგისაგან გამიგონია მწარედ წარმოთქმული სიტყვები: ბედნიერებაზე სრული წარმოდგენა არ ექნება იმას, ვისაც არ ღირსებია დედის ალერსიო. რამდენად უფრო უბედური უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც არ ჰქონია სამშობლო! მე ვერ მომიპოვებია იგი ვერც სოფლად, ვერც ქალაქად, ვერც საზოგადოებაში, კრებაში, ვერც ჩემს ოთახში, ჩემს იდუმალ ფიქრებსა და გრძნობებში!..

ჩემი სამშობლო—მე ვარ, მაგრამ მე რაღა ვარ?!..

—

...შარშან ზაფხულში სოფელში რომ ვიყავი, ერთ ღამეს არ მეძინებოდა, ოთახში ნამეტანი სიცხე იყო, და ფანჯარა გავაღე; მთვარე ანათებდა და ცხადად დავინახე მეზობლის ეზოში ჩემი ბიძაშვილი ლიზა. არასოდეს არ დამავიწყდება ეს სურათი: მიწაზე იჯდა, ფეხებ-მოკეცილი, ერთს ხელს დაყრდნობოდა თავით და თითქმის გაშეშებული ჩასცქეროდა მიწას. არც მთვარიანი, ვარსკლავებით მოჭედილი ცა, არც საამო იდუმალ სინათლით განათლებული სათიბი და ბაღი არ იზიდავდა მის ყურადღებას; იქ შავს მიწაში, ბნელეთში ეძებდა ბინას... რა მწარე ფიქრს შეეპყრო? ალბად ფიქრობდა თავის ბედზე, რომ კუზიანს, კოჭლს, მახინჯს არასოდეს არ ეღირსებოდა ალერსი ამ დედამიწაზე... დიდხანს ვუცქირე, ორ საათზე მეტმა განვლო, მერე ძილმა დამძლია და დავიძინე. ლიზა გათენებამდის აგრე იყო, ალბად. ხშირად მინახავს იგი მწარედ დაღონებული, მარტოკა მჯდომარე; მისულვარ, ხმა გამიცია, რომ რაიმე გამეგო, ნუგეში მეცა. მაგრამ იგი ერთს სიტყვას თუ მეტყოდა; სდუმდა, და მისი დუმილი უფრო მეტს მეუბნებოდა, ვიდრე მეტყოდა მთელს წლობით მისი ლაპარაკი...

ნეტავი მომცა მე მისი სევდა, რომ ვსდუმდე მაინც, როგორც სდუმს ღრმა ნაღვლის პატრონი ადამიანი! ვსდუმდე და არ ამოვიღო ხმა მთელ ჩემს სიცოცხლეში!...

არა, ხშირად ჩვენც ვსდუმვართ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დიდს ტანჯვას ვგრძნობდეთ ჩვენს გულში... ვსდუმვართ, ვით სულით ღატაკნი და მონები!..

—

მიყვარს იბსენი, იბსენის გმირები. რად? რად შევყურებ ასე აღტაცებით ელლიდას, ნორას, გაკონს, სტოკმანს? რად დამისახავს ცხოვრების გმირად ბრანდი? რასაკვირველია, მიტომ კი არა, რომ იბსენის გმირები მენათესავებოდენ. რა არის საერთო ჩემსა და მათ შორის! განა მე შემწევს ძალა მოვითხოვო ბრანდივით: ან ყველაფერი, ან არაფერი მეთქი? უარვყო ყოველგვარი კომპრომისსი და უსაზღვრო თავის განწირვა? შემიძლია, მე პირველმა გავსწირო ყველაფერი რაიმე იდეისათვის? შემიძლია, არასოდეს არ ვუღალატო გაკონივით ჩემს თავს? ნორასავით შევხედო ჭეშმარიტებას პირდაპირ სახეში და არ შევსდგე ნახევარ გზაზე? ელლიდასავით გავექცევი მონობას და ძალდატანებას?

სად შემწევს ძალა ან ერთისთვის, ან მეორესთვის, ან მესამესთვის, ან მეოთხესთვის! არაფრისთვის არ შემწევს ძალა! ვინმე და ვინ ბრანდი, ან გაკონი?! მე უფრო „გარეული იხვის“ გმირების ძმა ვარ, რომლებიც მუდამ ბნელაში ცხოვრობენ და ბედნიერნი არიან, ვიდრე არას ხედავენ, ან ოსვალდ ალვინგი ვარ, რომელიც უნდა მოკვდეს უსინათლოდ, მზეს მოკლებული, და ჩემი მკვლელი „მოჩვენებანი“ ის ჩემს გარშემო არსებული შხამიანი ატმოსფერაა, რომლითაც ერთიანად გაჟღენთილია ჩემი სისხლი.

მაშ რად მიყვარს იბსენის გმირები? მიტომ რომ ისინი ჩემთვის მიუწდომელნი არიან, რომელთაც შევყურებ, როგორც ღმერთებს. მიყვარს მათში ის, რის ნასახიც არ მოიპოვება ჩემში...

—

...ნეტავი ჩვენც ჰამლეტსავით გვღრნიდეს გულს უსაზღვრო ფიქრი, ფიქრი, და ფიქრი! მაგრამ სად არის ჩვენს თავში ეგ ფიქრები?! არც ფიქრი, არც მოქმედება! მაშ რაღა დარჩა? „საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“? არც ეს, არც ეს!

რას ვიზამდით, მაგალითად... მე მაგონდება აქ იერუსალიმის დაქცევა ტიტოს მიერ 70 წელს: ნახევარი მილიონი ებრაელი დაიღუპა მაშინ თავის რწმენისა და იდეისათვის, უბრალო გლახასაც არ უნდოდა დამორჩილებოდა რომაელებს... ცეცხლი, სიმშილი, წამება—ყველაფერი განვლეს... ყველანი დაიხოცნენ...

რისთვის მოვიგონო ასეთი საოცნებო ამბავი?! რისთვის, რისთვის!..

ღმერთო, ღმერთო!—გავიძახი „ღმერთო მეთქი“, მაგრამ ეს ხმა ჩემი გულიდან აღარ გამოდის. იქ კი არის?.. რად?.. რად?..

ოსვალდივით უნდა ვიძახოთ სიკვდილის წინ მხოლოდ: მზე, სინათლე!—და კი არ ვეღირსოთ მას! რამ ჩაგვიბნელა მზე, რამ მოგვიწამლა ჰაერი?..

სულის თქმა აღარ შემიძლია. ფანჯარა გავაღე. მკვდარი სიჩუმეა, წყვდიადი ისე მძიმედ დასწოლია დედამიწას, თითქოს უნდა, მთლად ერთიან გასრისოსო. ეს არის ჩვენი ცხოვრება!—მკვდარი, სასოწარკვეთილი ვდგევარ ფანჯარასთან.

უცებ შორს მეეზოვემ დაუსტვინა, გაარღვია სამარის სიჩუმე და ტყვიასავით მომხვდა გულში. ბნელი კიდევ უფრო ძლიერ მომაწვა, უნდოდა შთავენთქე.

მე ავკანკალდი და ერთი, ერთი ცრემლი გადმოვარდა ჩემის თვალიდან...

სიტყვა

აღმოსავლეთის ომში მონაწილეობა მიიღოს, ეს საკავშირო ხელშეკრულობა უსათუოდ უნდა შევასუსტოთო“ („რ. ვ.“).

გერმანია და შორეულ-აღმოსავლეთის საქმე. ბერლინიდან ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიას, ამ ჟამად ჩინეთში 2,600 ჯარის-კაცი გვყავს და ამ ჯარს ერთს კაცსაც ვერ მოვაკლებთო.

* * *

რუსეთი-[illegible] ომის შესახებ

ლიბერალური გაზეთები, თუმცა ყველა არა, გადამეტებულ შოვინიზმს არ გაუტაცნიათ. ესენი უფრო ფხიზლად უყურებენ საქმეს, არ მალავენ სიძნელეს და არ ჰგონიათ, რომ მტერი ერთის მუჭის მოქნევით ძლეულ იქნება. როგორც მოსალოდნელი იყო, გაზ. „რუსსკ. ვედომ“. ყველაზე უფრო თავდაჭერილია, მტკიცე ზომიერებას იცავს და, რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობს მიუდგომელი და პირუთვნელი ამბები ჰბეჭდოს ომზე... სატახტო ქალაქთა ლიბერალურ ჟურნალ-გაზეთების მოსაზრებათ შემდეგ დავბეჭდავთ; ეხლა-კი პროვინციალურ პრესას მივმართავთ. სხვათა შორის, საინტერესოა გაზეთ „იუჟნი ობოზრ.“-ს პატარა წერილი „რუსეთ-იაპონიის ომის მნიშვნელობის შესახებ“. გაზეთი სწერს:

რუსეთ-იაპონიის ომი მაინცა და მაინც ჩვენთვის საშიში არ არის. საშიში რუსეთის განადგურება-კი არ არის (ეს შეუძლებელია), საშიში ის არის, რომ ომი რუსეთის კულტურის განვითარებას შეაჩერებს, მრავალ რუსს იმსხვერპლებს, მრავალს სრულიად გაადატაკებს და შეარყევს ჩვენის სახელმწიფოს ისედაც ჩამორჩენილს ეკონომიურს კეთილდღეობას.

რუსეთისთვის საჭიროა მთელი თავისი ძალ-ღონე ხალხის ეკონომიურ, ზნეობრივ და უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესება-განახლებას მოახმაროს. ომი, სამწუხაროდ, ამას ხელს უშლის. ბევრი ფუქსავატი ადამიანი გარეშე საქმეებში გამარჯვებას ამჯობინებს და ამისათვის მზადაც არის უარი სთქვას შინაურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ყველა გონიერისათვის ცხადზედ უცხადესია, რომ რუსეთს უკანასკნელი უფრო ესაჭიროება.

ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა შინაურ საქმეებს მივხედოთ; რუსეთის მომავალი სრულიადაც იმაზე არ არის დამოკიდებული, როგორ გათავდება შორეულ-აღმოსავლეთის ომი, არამედ იმაზე, როგორ მოეწყობა ჩვენი შინაური ცხოვრება, როგორ შევიძლებთ გავანთავისუფლოთ ხალხი უმეცრებისაგან, გავაძლიეროთ მისი უფლებრივი ვითარება.

ომი, რაც შეიძლება, მალე უნდა გათავდეს. ამისთვის საჭიროა სიმტკიცე, დამშვიდებული, დინჯი მოქმედება და გონიერება. არ ეკადრება რუსებს არც სულით დაცემა, არც, მით უმეტეს, ვიწრო შოვინიზმით გატაცება. ყვირილი და ტრაბახობა ადვილია, სიკვდილი უფრო ძნელია. კერძო ცხოვრებაში ხშირად შეხვდებით ასეთს მაგალითს: ვისაც თავი გაუწირავს და სასიკვდილოდ მიდის, ის სრულიადაც არ ყვირის, ხოლო ვინც ბევრს ყვირის და ტრაბახობს, ის ძალიანაც ცდილობს გაჭირვების დროს თავს უშველოს, სიკვდილს რამეფერად თავი დააღწიოს.

* * *

ახალი ამბავი

✦ დღეს, 15 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვილი ახლად გარდაცვალებულ რუსს **მწერლის ნ. კ. მიხაილოვსკის** სულის მოსახსენებლად.

✦ ტფილისის **ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის** ამხანაგმა ბურხჰარდტმა სამსახურს თავი დაანება.

✦ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად შუამდგომლობა იქმნა აღძრული **ტფილისში ახალ აფთიაქების** დაარსების შესახებ. მთავრობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, ერთი აფთიაქა გაიხსნება დიდუბეს, მეორე წყნეთის ქუჩაზე, მესამე ნავთლუხს.

✦ შინაგან საქმეთა **სამინისტროს** გადაუდვია 400,000 მანეთი იმ საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად, რომელიც დაიხოცა **საქონლის ჭირის აცრის** დროს. ამავე ფულით უნდა შეინახონ შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგური.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის საბოტანიკო ბაღთან არსებობს **ბაღოსნობის პრაქტიკული კურსები.** ახალ მოსწავლეების მიღება მოხდება პირველ მარტს.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 12 თებერვალს განიხილა ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. წელს საბაღოსნო სკოლას შემოუვა 19,000 მანეთამდე. ამდენივე ხარჯი იქნება. საბჭომ დაადგინა, ეს ხარჯთ-აღრიცხვა წარუდგინოს დასამტკიცებლად საზოგადო კრებას. ამავე კრებას წარედგინება წინადადება საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომისიისა საბაღოსნო სკოლის გამგედ ბ-ნ ხუნდაძის დანიშვნის შესახებ.

✦ 13 თებერვალს სხდომა ჰქონდა ტფილისის საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს **ავჭალის ქუჩის ტრამვაის გამოსყიდვა.** კომისიამ ამ საღამოზე განიხილა ჟურნალ „პრავო“-ს მოსაზრებანი იმის შესახებ, აქვს თუ არა ქალაქს უფლება ეხლავე გამოისყიდოს ცხენის რკინის გზა. კომისიამ საჭიროდ დაინახა რედაქციის მოსაზრების განხილვა იურისტების თანადასწრებით, ამიტომ დაადგინა, დანიშნოს ახალი ხდომა და მიიწვიოს იურისტი — ხმოსნები.

✦ **ტფილისის გუბერნატორს** სჭირდება ცნობები ქალაქის გამგეობის მოღვაწეობისა, შემოსავალ-გასავლისა და აგრეთვე ქალაქის თავისუფალ თანხების შესახებ. გუბერნატორის მინდობილებით, საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტმა გუშინ სთხოვა ქალაქის მოურავის მოადგილეს, წარუდგინოს საჩქაროდ აღნიშნული ცნობები.

✦ დღეს, 15 თებერვლისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის **დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“.** კრება მეორედ ინიშნება, ამიტომ კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. დაიწყება კრება დილის 11 საათზე.

✦ 12 თებერვალს სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ცხენის რკინის გზების თვალ-ყურის დევნება. კომისიამ, სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება წევრის გრიქუროვისა, რომელმაც განაცხადა, 10 თებერვალს პუშკინის ქუჩაზე რკინის გზის ვაგონებში ისეთი გამხდარი ცხენები ვნახე შებმული, რომ ვაგონს ძვრაც ვერ უყვეს. ამასთან ვაგონებზე აფიშებს აკვრენ იმგვარად, რომ სრულიად არა სჩანს ნომერი ვაგონისაო. კომისიამ დაადგინა, წინადადება მისცეს უსახელო საზოგადოებას, ეს ნაკლი თავიდან აიცილოს. ამავე სხდომაზე ლაპარაკი ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ხალხი მეტად შეწუხებულია ზოგიერთ კონდუქტორებისაგან, რომელნიც რიგიანად და დროზე ხალხს ხურდა ფულს არ უბრუნებენ, ზოგჯერ დახურდავებაზე უარს ეუბნებიან და სხვა. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს, განკარგულება მოახდინოს, რომ კონდუქტორები ბილეთის გაყიდვის დროს ხალხს ხურდა ფულის დაბრუნების დროს ნუ შეაწუხებენო.

✦ 13 თებერვალს, დილით, ვოსკრესენსკის ქუჩაზე პავლე სუბოტკინის ორ-სართულიან სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ქვემო სართულში მედუქნე იაგორ ცატურაშვილის მსახურს უცაბედად სარდაფში ლამპა წაქცევია და დაქცეულ ნავთს მოსდებია ცეცხლი. ცეცხლი გადასულა მთელ შენობაზე და ბევრის წვალების შემდეგ მცხოვრებლებმა ძლივს გამოასწრეს უვნებლად სახლიდან გამოსვლა და ნივთების გადარჩენა. მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ცეცხლი სხვა სახლებზე არ გადაუშვა. სახლის პატრონმა იზარალა 5000 მან. მეტი. სახლი დაზღვეულია.

✦ ოლგას ქუჩაზე, 13 თებერვალს, პოლიციელმა შეიპყრო სიღნაღის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე ალექსოვი, რომელსაც იქვე მომავალ მეურმის ნადაბიძისათვის ურმიდან რაღაც ნივთები მოეპარა და მიჰქონდა.

✦ 12 თებერვალს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს გაუტეხიათ ავლაბარში ქონის სადნობი ქარხანა დათება კოპოჩაშვილისა და წაუღიათ 4 ფუთი ქონი. ქურდები უკვე დაუპატიმრებიათ. ისინი აღმოჩნდნენ ტფილისის მცხოვრებნი არუთინოვი და შაქრო მანუჩაროვი.

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** 192 №, რომელშიაც მოთავსებულია: „დედის მსხვერპლი“, მოთხრობა მალაქიაშვილისა; სურათები: წითელი ჯვრის დროებითი საავადმყოფო შორეულ აღმოსავლეთში; მანჯურიაში სადარაჯო სადგური; იაპონიის იმპერატორი მუცუკიტო ჯარის დასათვალიერებლად მიდის; გემები „ენისეი“, „ბაიანი“, „ასკოლდი“ და „ნოვიკი“; ადმირალი ვირენიუსი და მისი ესკადრა; ერთი კარიკატურა.

* * *

რუსეთის ქრონიკა

✦ „ნიჟეგ. ზემ. გაზეტა“ სწერს: „არზამასის მაზრაში გლეხებს სამუშაო არა აქვთ, საქონლის საჭმელიც გამოელიათ. ცხენების რიცხვი ერთი-ორად შემცირდა და რაც დარჩა — შიმშილით იხოცება. ამის გამო გლეხებმა შემდეგი საშუალება მოიგონეს: ცხენებს ორის კვირით თოკებით ჩამოჰკიდებენ ხოლმე და ამბობენ: „ორ-სამ კვირას თოკზე ეკიდება; გაზაფხული რომ მოახლოვდება, ჩამოვხსნით, ვაჭმევთ და როცა მოკეთდებიან, სახნავად შევაბამთო“.

✦ იგივე გაზეთი იქიდანვე იუწყება: „სოფელ „კრუტოი მაიდან“-ის 30 გლეხი სამუშაოს საშოვნელად ასტრახანს წასულან. რადგან გზის ფული არა ჰქონდათ, ფეხით წასვლა გადასწყვიტეს და წავიდნენ კიდეც. ეს გლეხები ასტრახანს მხოლოდ 6 თვის სიარულის შემდეგ მივლენო“.

✦ რუსეთის ფლოტის გასაძლიერებლად ამ დღეებში დანიშნულმა ცალკე კომიტეტმა 9 თებერვლამდე 12 მილიონი მანეთამდე შემოწირულება შეაგროვა („გრაჟ.“).

✦ გაზეთი „რუს“-ი სწერს: „7 თებერვალს პეტერბურგში ხმა გავრცელდა, ფინანსთა სამინისტროში მოსკოვის სტაროობრიადცებს ამგვარი განცხადება შეუტანიათ: თუ მომავალში მთავრობას ომის გაგრძელების გამო შინაგან სესხის აღება დასჭირდება, მოსკოვის სტაროობრიადცები წინდაწინვე მზადა ვართ ეს სესხი მთლად ჩვენ დავფაროთო. გაზეთი ამ ხმის სინამდვილეს არ მოწმობს.

✦ ტიხვინის დიდი მონასტერი თხოულობს, ნება მოგვეცით შორეულ-აღმოსავლეთში კერპთ-თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ სამშობლოს დიდებისა და პატიოსნებისთვის მებრძოლ ჯარს გავუგზავნოთ ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც 1812 და 1854 წლებს ნოვგოროდელთა წინააღმდეგ ომებში იყოო („ნოვ. ვრ.“).

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა უწმ. სინოდის მოხსენება, რომლის ძალითაც ჩებოკსარის ეპისკოპოსი იოანე პოლტავისა და პერეიასლავის ეპისკოპოსად დაინიშნა; კირენის ეპისკოპოსი ფილარეტი გლაზოვის ეპისკოპოსად დაინიშნა; წინამძღოლი „ნოვი იერუსალიმ“-ის მონასტრისა, რომელსაც ეწოდება სტავრო პიგიალის მონასტერი, არქიმანდრიტი ვლადიმერი დაინიშნა კირენის ეპისკოპოსად და ირკუტსკის ეპარქიის ვიკარად; ტამბოვის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ნათანაილი — კოზლოვის ეპისკოპოსად და ტამბოვის ეპარქიის ვიკარად.

ვენა. სასახლეში შვეციის მეფის პატივსაცემლად სადღესასწაულო სადილი გაიმართა. იმპერატორმა შვეციის მეფის სადღეგრძელო დალია, მეფემ კიდევ იმპერატორის სადღეგრძელო.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). სტამბოლიდან იტყობინებიან, ავტრიის საელჩოში მოხდა კრება კომისიისა, რომელსაც მაკედონიის ჟანდარმერიის გადაკეთება აქვს მინდობილი. კრებაზე ჟანდარმერიის ფორმისა და წესდების საკითხებს არჩევდნენ. — პორტამ ეგზარხოსს შეატყობინა, მასწავლებლებს თავდებებს არ მოვთხოვთ გარდა იმ მასწავლებლებისა, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა მიიღესო. ეპისკოპოს გერასიმესთვის, მტკიცე თხოვნის მიუხედავად, სტრუმიცაში ეკკლესიის აშენების ნებართვა ჯერ არ მიუციათ. სოფელ ნაკოლეცში ოსმალთა ჯარმა, რომელიც ალბანელებისაგან შესდგებოდა, ძალა იხმარა და ეკკლესიები შეურაცხჰყო. ბოლგართა საზივრების და კონსულების შენიშვნების გამო ხილმი-ფაშამ საქმის გასარჩევად ცალკე კომისია დანიშნა.

ბერლინი. 27 თებერვალს იმპერატორი ბრემენგაფენში წავა და იქიდან გემით ხმელთა შუა ზღვაზე წავა. გემი შეივლის ანტვერპენსა, ვიგოსა, გიბრალტარსა, პორტ-მაგონსა და ნეაპოლს, სადაც იმპერატორი საკუთარ გემ „გოგენცოლერნ“-ზე გადავა. უკვე გადაწყვეტილია, რ… იმპერატორი ბელგიის მეფეს ინახულებს.

14 თებერვალი

ბელგრადი. გაზეთი „ბელგრადსკე ნოვინ… ნამდვილ წყაროებიდან იტყობინება, ამ დღეებში დიპლომატიურ განხეთქილებას ბოლო მოეღ… და უცხოელთა წარმომადგენლები მალე დაბრუ… დებიან ბელგრადშიო.

სოფია. („კორესპ. ბიურო“) დიპლომატიურ წრეებში ამბობენ, მთავრობამ ნაჩევიჩს მიანდო პორტასთან მოლაპარაკება გამართე ხელწერილებით შეთანხმებისთვის, რომელშიაც ორივე სახელმწიფოს მოთხოვნა უნდა გამოირკვეს. ეს მოთხოვნა იქნება საფუძველი ოსმალეთისა და ბოლგარიის შორის იმ მოვალეობისა, რომლით ორივე სახელმწიფო მშვიდობიანობას დაიცავს და რეფორმების განხორციელებას ხელს არ შეუშლიან.

კიშინევი. პალატამ დაიწყო ამ სექსის უკანასკნელი საქმის გარჩევა; ბრალდებულნი არიან რუსნაკი და სხვანი, რომელთაც ებრაელთა წინააღმდეგ უწესოების მოხდენა ბრალდებათ. საქმეს ხალხის დაუსწრებლად არჩევენ.

პარიზი. დელკასემ და ესპანიის ელჩმა ხელი მოაწერეს კონვენციას სამხედრო საქმის შესახებ, რომელიც ისეთივეა, როგორც საფრანგეთსა, ინგლისსა და ესპანიის შორის დადებული ხელშეკრულება.

ნიუ-იორკი. 13 თებერვალი. („რეიტერის სააგენტო“). ქალაქის სავაჭრო ნაწილი დაიწვა.

ვაშინგტონი. 13 თებერვალი. („რეიტ. საავ.“) პრეზიდენტმა რუზველტმა ხელი მოაწერა პროკლამაციას იმის შესახებ, რომ პანამის არხის ხელშეკრულება ძალაში შედის.

სტამბოლი („კორ. ბიურო“) დიაკოვოს მიდამოებში შეკრებილი ჯარი ალბანელების აჯანყებას სპობს. როგორც ამბობენ, ზოგიერთ ალბანელთა სახლები დანგრეულ იქმნებიან.

სტამბოლი. სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ ოსმალეთი საომრად ემზადება, მობილიზაციას ახდენს და მცირე აზიის რედიფთა დივიზია ევროპაში გაგზავნესო.

ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივანმა გემ… და პანამის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ერთმანეთს გაუგზავნეს პანამის არხის გაჭრის ხელშეკრულებას რატიფიკაციები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარ

განცხადებანი

ქ. ქუთაისში
სასტუმრო
„სამშობლო“

როსტომ ივანეს ძე კაკაურიძისა და გველესიანისა მიხაილოვის ქუჩიდან გადმოვიდა ვორონცოვის ქუჩაზე ბათიაშვილის სახლებში, №-48 სანაპის დუქნის მახლობლად. სასტუმრო გვაქვს ძალიან მორთული, იმედი გვაქვს, პატივცემული საზოგადოება არ დაგვტოვებს უყურადღებოთ.
(1—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
წლიური კრება

დანიშნულია ამ 1904 წ. 15 თებერვლისათვის დილის 10 საათზედ, ამხანაგობის სადგომში (მიხეილის ქ. სახლი № 156).

განსახილველი საგნები:

1) 1903 წლ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
2) „ მოხსენებანი გამგეობისა;
3) „ სარევიზიო კომისიისა;
4) არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა.
5) „ სარევიზიო კომისიის წევრთა.
6) „ დამფასებელ წევრთა.
7) „ ახალ წევრთა.

ეს კრება განმეორებულია და ამხანაგობის წესდების მე-41 მუხლის ძალით, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას, კანონიერად ჩაითვლება და ყოველგვარი გარდაწყვეტილებანი სავალდებულონი იქნებიან არ დამსწრე წევრთათვისაც.

თანახმად 1903 წლ. 24 აგვისტოს მორიგ კრების გარდაწყვეტილებისა, ვინც საწევრო გარდასახადს (პაის) არ შეავსებს, მომავალ კრებაზე არც არჩევანისა და არც კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების უფლება არ მიეცემა.

ვსთხოვთ პატივცემულ წევრთ, ეს განცხადება ერთმანერთს შეატყობინონ.

გამგეობის თავმჯდომარე **ბრ. თოიძე**
გამგეობის წევრნი { **გ. ბერძენიშვილი.** **ი. რუსიშვილი.**

(2—ნ.—2)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება 1904 წლის კალენდრები. ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—5). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

Доз. ценз. Тифлисъ 14 февраля 1904 г. ელექტრონის სტამბა, ქართ. ამხ—ის წიგნების გამომც. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.